საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგია:

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ვ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.11.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 093/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ /სიითი№/

ადვოკატის წარმომადგენლები: ლ. ჭ., დ. გ. /სიითი N/, ც. ბ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჯ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (შემდგომში „დებულება“) გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2017 წლის 08 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის აგვისტოში, უძრავი ქონების გამიჯვნის შესახებ სამოქალაქო საქმეზე, მან დახმარების თხოვნით მიმართა ადვოკატ ლ. ჯ.-ის და სიტყვიერად აუხსნა, თუ რა სახის მომსახურება სჭირდებოდა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა უთხრა, რომ მისთვის მიეტანა საქმის მასალები და ჩაერიცხა საადვოკატო მომსახურების საფასური - 1200 ლარი, რის შემდეგაც ადვოკატი გაეცნობოდა საქმეს.

1.4 2017 წლის 21 ოქტომბერს, საჩივრის ავტორი მივიდა ადვოკატთან, გადასცა საქმის მასალები და მოითხოვა მისი საბანკო რეკვიზიტები, რათა ჩაერიცხა შეთანხმებული ჰონორარი მის ანგარიშზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გადასცა ანგარიშის ნომერი, ასევე გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და საჩივრის ავტორს ხელი მოაწერინა, ხოლო ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარი თავისთან დაიტოვა. 2017 წლის 24 ოქტომბერს, საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჩაურიცხა შეთანხმებული თანხა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, სამოქალაქო საქმე ეხებოდა მასსა და მისი დედმამიშვილების თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამიჯვნის საკითხს. მას შემდეგ რაც, საჩივრის ავტორს მისი ერთ-ერთი დედმამიშვილი დათანხმდა, რომ მოცემული უძრავი ქონება გაყოფილიყო თანამესაკუთრეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატს 2017 წლის 25 ოქტომბერს და შეუთანხმდა შეხვედრაზე, რათა აეხსნა, რომ იგი აღარ საჭიროებდა საადვოკატო მომსახურებას, სურდა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოშლა და შესაბამისად, ადვოკატისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ადვოკატს შეხვდა 26 ოქტომბერს, დასთან - მ. ზ.-სთან ერთად. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც მან აუხსნა ადვოკატს საქმის ვითარება და მოითხოვა თანხის ნაწილის - 1000 ლარის უკან დაბრუნება, ადვოკატი გაღიზიანდა და აღელვებული ეუბნებოდა, რომ თანხას უკან არ დაუბრუნებდა; ასევე ლანძღავდა მათ, აბრალებდა მათ შორის დადებული საადვოკატო ხელშეკრულების მოპარვას და კატეგორიული ტონით სთხოვდა ოფისის დატოვებას, რის შემდეგაც ადვოკატმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, პოლიციის ეკიპაჟის მოსვლის შემდეგ, ადვოკატმა შეიცვალა პოზიცია და ხელწერილი დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ საჩივრის ავტორს დაუბრუნებდა - 600 ლარს, რაზეც საჩივრის ავტორი არ დათანხმდა და დატოვა ადვოკატის ოფისი.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა სოციალური ქსელის - „ფეისბუქის“ საშუალებით გამოაქვეყნა წერილი, სადაც არაპირდაპირი მითითებით საჩივრის ავტორს მიაყენა შეურაცხყოფა. კერძოდ, გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ტექსტი: „აღმოვაჩინე, რომ ეს ავადმყოფი, სომეხი ყოფილა მამით და დედის გვარზეა გადასული“. ასევე, საჩივრის

ავტორის განმარტებით, ადვოკატი ურეკევდა მას ტელეფონზე და ემუქრებოდა შემდეგი სიტყვებით: „შენ სომეხო რას მიბედავ, ნახე შენ რა გიქნა“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2017 წლის 08 დეკემბერს, ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიამ არ უნდა განიხილოს საჩივარი, რადგან მან კეთილსინდისიერად შეასრულა საჩივრის ავტორის მიმართ დაკისრებული პროფესიული ვალდებულება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2017 წლის აგვისტოში, საჩივრის ავტორი - ვ. ბ. შეხვდა მას და გააცნო საქმის ვითარება, რაზეც საჭიროებდა ადვოკატის მომსახურებას, ხოლო იმავე წლის 18 აგვისტოს, ადვოკატი შეხვდა საჩივრის ავტორის დას - მ. ზ.-ს, რომელმაც იმავე საქმეზე სთხოვა დახმარება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან დაიბარა ვ. ბ. და მ. ზ. ოფისში და გაეცნო მათ მიერ წარმოდგენილ საქმის მასალებს, ასევე გაუფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და ერთი ეგზემპლარი გადასცა საჩივრის ავტორს, ხოლო საჩივრის ავტორმა ჩაურიცხა მომსახურებისათვის წინასწარ შეთანხმებული თანხა - 1200 ლარი.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან შეისწავლა საქმის მასალები, შეადგინა შუამდგომლობა, მოამზადა სარჩელი, ასევე საჩივრის ავტორის დასთან - მ. ზ.-სთან ერთად მივიდა საჯარო რეესტრში და გამოითხოვა საქმისათვის საჭირო დოკუმენტები; ასევე საჩივრის ავტორს გაუწია კონსულტაცია და ურჩია საქმის მორიგებით დასრულება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხი დღის შემდეგ, საღამოს, საჩივრის ავტორმა და მ. ზ.-მ დაურეკეს და აგდებული ტონით უთხრეს, რომ უნდოდათ მასთან შეხვედრა. 2017 წლის 26 ოქტომბერს ადვოკატი შეხვდა მათ საკუთარ ოფისში. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა მოითხოვა მათ შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მოშლა და აგრესიული ტონით განუცხადა: „თანხა სრულიად დამიბრუნე, რადგან საერთოდ არაფერი არ გაგიკეთებია, მე კიდევ მოვურიგდი ჩემს ძმას“, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ იგი არ იყო ვალდებული მათთვის თანხა დაებრუნებინა, რადგან მოცემული თანხა წარმოადგენდა მის მიერ გაწეული მომსახურების საფასურს. წარმოუდგინა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საკუთარი ეგზემპლარი და საჩივრის ავტორსაც სთხოვა წარმოედგინა მისი ეგზემპლარი.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მან განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი ცალმხრივად წყვეტს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას, ადვოკატი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს მის მიერ უკვე გაწეული მომსახურების ღირებულება. აქედან გამომდინარე, ადვოკატის განცხადებით, მან საჩივრის ავტორს შესთავაზა მთლიანი თანხიდან - 200 ლარის დაბრუნება, რაზეც საჩივრის ავტორმა უარი

განაცხადა და მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო მ. ზ.-მ გამოიძახა საპატრულო პოლიცია.

2.7 ადვოკატის განცხადებით, იქამდე, სანამ მ. ზ. საპატრულო პოლიციაში დარეკავდა, ადვოკატმა აღმოაჩინა, რომ მათ შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მისი კუთვნილი ეგზემპლარი აღარ იდო მაგიდაზე. როდესაც პოლიცია მოვიდა, საჩივრის ავტორი აცხადებდა, რომ ადვოკატთან მას არანაირი ხელშეკრულება არ ჰქონდა დადებული და ფული თაღლითური გზით ჰქონდა ადვოკატს მისგან მიღებული. სასამართლოს სხდომაზე კი საჩივრის ავტორმა აღიარა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადების ფაქტი.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მასსა და საჩივრის ავტორს შორის დადებული შეთანხმებით, მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხა -1200 ლარი წარმოადგენდა მის მიერ გაწეული მომსახურების, კერძოდ საქმის მასალების გაცნობის, კონსულტაციისა და საჯარო რეესტრიდან საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვის, ასევე სარჩელის მომზადების საფასურს. ადვოკატი განმარტავს, რომ მან საჩივრის ავტორისადმი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და აქედან გამომდინარე უნდა შეწყდეს წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

2.9 2018 წლის 09 ოქტომბერს ჩატარებულ ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ საჩივრის ავტორი კოლეგიას აწვდის არასწორ ინფორმაციას: თავდაპირველად ამბობდა, რომ ადვოკატთან იმიტომ შეწყვიტა ურთიერთობა, რომ თავის დედმამიშვილს მოურიგდა, ხოლო შემდეგ განმარტა, რომ ადვოკატთან შეწყვიტა ურთიერთობა ადვოკატის არაკვალიფიციურობის გამო.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მას სომეხი არავისთვის უწოდებია, სადავო ფრაზები არ უთქვამს. ადვოკატის განმარტებით, წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მან კლიენტს უწოდა „სომეხი“, ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი არის საჩივრის ავტორზე. ადვოკატის განმარტებით, სოციალური ქსელიდან ამოღებული ფურცლები არ არის ავთენტური. ადვოკატმა ასევე ისაუბრა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების როლზე, საადვოკატო სფეროს განვითარების ჭრილში.

2.11 ადვოკატი არ ადასტურებს და არც უარყოფს, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დაწერილი პოსტები, რომელიც საჩივრის ავტორმა წარმოადგინა, არის მისი დაწერილი, თუმცა აქვე განმარტა, რომ რას დაწერს სოციალურ ქსელში, ეს არის მისი გადასაწყვეტი, მისი „პირადი სივრცე“ და სხვას არ აქვს უფლება შეიჭრას ამ პირად სივრცეში და შეაფასოს ადვოკატის გამონათქვამების ეთიკურობა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 09 ნოემბერს პირველმა საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა წინასწარ არ მიაწოდა ვ. ბ.-ს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, წარმომადგენლობის პერიოდში არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე, მათ შორის სარჩელის პროექტის სავარაუდო შედგენის ფაქტის თაობაზე, თავს არიდებდა კლიენტთან კომუნიკაციას და არ ათანხმებდა მასთან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის სარჩელის არსი, მოთხოვნა და ზოგადად დაცვის სტრატეგია, ადვოკატის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო აშსკ 6.2 მუხლი, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, აპეკ-ის 8.5 და 8.6 მუხლები.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა არ აწარმოა ვ. ბ.-ის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა და კლიენტს მოთხოვნისთანავე არ წარუდგინა შესაბამისი ანგარიშგება, შესაძლოა მის მიერ დარღვეულად ჩათვლილიყო აპეკ-ის 8.12 და 8.13 მუხლები.

3.4 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა კლიენტს - ვ. ბ.-ს არ დაუბრუნა საქმის მასალები, კლიენტის მიერ საქმის წარმოებისათვის გადაცემული გამოუყენებელი ფულადი სახსრები და გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა, ადვოკატის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო აპეკ-ის 8.15.

3.5 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორისათვის შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, საჯაროდ, სოციალური ქსელის მეშვეობით, გააკეთა შემდეგი განცხადება: ,,ეხლა მაქ ერთ ერთ ყოფილ კლიენტთან დავა, იმდენად ამაზრზენია, იმდენად საზიზღარია, სიტყვები არ მყოფნის. რამდენიმე წელი ვერაფრით აგვარებდა ბინაზე პრობლემას, ვერც მისმა ადვოკატმა ვერ მოუგვარა და საქმეში ჩართვიდან 5 დღეში მოვაგვარებინე ეგ პრობლემა. საადვოკატო მომსახურების ხელშკერულება მომპარა ოფილში მაგიდიდან და პატრული დამაყენა თავზე და აქეთ მე მაბრალებს. დღეს გადავხედე დოკუმენტებს და აღმოჩნდა, რომ ეს ავადმყოფი სომეხი ყოფილა მამით და დედის გვარზეა გადასული,“ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო აშსკ 3(ა), 3(თ), აპეკ-ის 3, საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 2.1 მუხლი.

III სარეზოლუციო ნაწილი

გამომდინარე იქიდან, რომ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა წარმოადგინეს 2019 წლის 04 მარტით დათარიღებული მორიგების აქტი, რომლის თანახმად, სხვა პირობებთან ერთად, საჩივრის ავტორმა უარი თქვა თავის პრეტენზიაზე ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ. შედეგად ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 22.1.„ბ“ მუხლით და დაადგინა:

1. დისციპლინურ საქმეზე №093/17 ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/